



WWW.MY.GOV.GE

საინფორმაციო ფურცელი

გამოშვება #49 იანვარი, 2016

გამოშვებაში წაიკითხავთ

1 ტრენინგი „ნატოს“ პროგრამის ფარგლებში

2 ტრენინგი „საქაერონავიგაციის“ წარმომადგენლებისთვის

3 მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლების ვიზიტი ტალინში

4 ერაყის სამთავრობო დელეგაცია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საქმიანობას გაეცნო

4 საჯარო რეესტრის სერვისების მობილური აპლიკაცია

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა „ნატოს“ პროგრამის ფარგლებში ტრენინგების მორიგი ციკლი ჩაატარეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან (NATO). ამ ორგანიზაციის პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის - ფარგლებში გამართულ ტრენინგებში მიწვეული ექსპერტებისა და ტრენერების სტატუსით სააგენტოს ინფორმაციული

უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს წარმომადგენლები 2012 წლიდან მონაწილეობენ.

ინფორმაციული უსაფრთხოების შესავალი, კიბერთავდაცვის მექანიზმები, ვებგვერდებისა და პორტალების უსაფრთხოება, ქსელის მონიტორინგი და დაცვა, კრიპტოგრაფია, კიბერინციდენტების აღმოჩენა, რეგისტრაცია, ანალიზი და პრევენციის ზომები - ეს ის საკითხებია, რომლებშიც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლები შესაბამის მაღალ კვალიფიკაციას ფლობენ და ცოდნასა და გამოცდილებას ნატოს პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყნების წარმომადგენლებს უზიარებენ.

სააგენტოს წარმომადგენლებმა თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის (METU) ინფორმატიკის ინსტიტუტში უკვე ჩაატარეს 5 ტრენინგი ავღანელი, მაკედონელი, მონტენეგროელი, მოლდოველი და აზერბაიჯანელი სისტემური და ქსელის ადმინისტრატორებისთვის (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) 2016 წლის 1-4 თებერვალს სააგენტოს წარმომადგენლები კვლავ მიიწვიეს ტრენინგების ჩასატარებლად. ამჯერად სწავლება შესაბამისი პროფილის უკრაინელ სპეციალისტებს განახლებული პროგრამით ჩაუტარდათ, სასწავლო კურსის თემა კი, ინფორმაციული უსაფრთხოების გარდა, კიბერუსაფრთხოების საკითხებსაც მოიცავდა.

„21-ე საუკუნეში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და ეს გამოწვევა დგას პრაქტიკულად ნებისმიერი ქვეყნის წინაშე. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება. ჩვენს ორგანიზაციაში არსებული სტრუქტურა CERT.GOV.GE წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით კიბერუსაფრთხოებაზე მომუშავე მთავარ ორგანოს. შესაბამისად, ჩვენს პერსონალს აქვს ის კვალიფიკაცია, ცოდნა, გამოცდილება და საერთაშორისო აღიარება, რომელიც საჭიროა თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად“, - **ირაკლი ლომიძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პერმანენტული მონაწილეობა ნატოს მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში განპირობებულია საქართველოს, როგორც კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებებში წარმატების მქონე ქვეყნის რეპუტაციით.

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ „საქაერონავიგაციის“ წარმომადგენლებისთვის ტრენინგი ჩაატარა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებმა „საქაერონავიგაციის“ წარმომადგენლებისთვის ტრენინგი ჩაატარეს.

ტრენინგი ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნის თანახმად და მიზნად ისახავდა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის - „საქაერონავიგაციის“ შესაბამისი პროფილის სპეციალისტები გაცნობდნენ როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებს, ისე მათი დანერგვისა და აუდიტის პრინციპებს.

ტრენინგის მიმდინარეობისას „საქაერონავიგაციის“ შესაბამისი პერსონალი გაეცნო ინფორმაციული უსაფრთხოების იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც ორგანიზაციამ უნდა დააკმაყოფილოს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ჩამოყალიბების, დანერგვის, ფუნქციონირებისა და გაუმჯობესების ყველა ეტაპზე (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2) აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინება სავალდებულოა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის, რომელთა გამართულ და უწყვეტ მუშაობას ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო მსგავს ტრენინგებს რეგულარულად ატარებს როგორც კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების, ისე კერძო კომპანიების წარმომადგენლებისთვის, რათა ამ ორგანიზაციებში გაუმჯობესდეს ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ხარისხი და, ზოგადად, სტანდარტები შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებულ ნორმებთან.

ხუთდღიანი ტრენინგი ტესტირებით დასრულდა, რომლის შედეგების საფუძველზეც გაიცა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლების ვიზიტი ტალინში



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლები - სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი გვენეტაძე და ამავე სააგენტოს პროექტების მართვის სპეციალისტი პაატა სირბილაძე და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი მამუკა კახნიაშვილი, მიმდინარე წლის 18-22 იანვარს სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ესტონეთის რესპუბლიკაში, ქ. ტალინში.

აღნიშნული სასწავლო ვიზიტი შედგა ევროკავშირის დამშობილების პროექტის - ელ. მმართველობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში II - კომუნიკაციის კომპონენტის ფარგლებში.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ესტონეთის გამოცდილების გაზიარება ელ-მმართველობისა და მისი კომპონენტების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, ასევე იმ პრაქტიკის გაცნობა, რომელსაც ესტონეთი ელექტრონული სერვისების პოპულარიზაციისთვის იყენებს.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა არაერთი საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრა. სამუშაო კვირის პირველ დღეს ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიაში მოეწყო გამოცდილების გაზიარებისა და იდეების გაცვლის სესია

ელექტრონული საქართველოს ბრენდის ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების შესახებ.

აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ესტონეთის რესპუბლიკაში, მისმა აღმატებულმა, თეა ახვლედიანმა, ესტონეთის მთავრობის ადმინისტრაციის მრჩეველმა ციფრული პოლიტიკის საკითხებში სიმ სიკუტმა, ესტონეთის ელ-მმართველობის აკადემიისა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა.

ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრებიდან ასევე აღსანიშნავია ვიზიტი ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ტექნოცენტრში „MEKTORY“, სადაც სააგენტოს წარმომადგენლები გაეცნენ თანამედროვე ტექნოპარკის კონცეფციასა და მუშაობის სპეციფიკას. ნაყოფიერი შეხვედრა გაიმართა ესტონეთის საგზაო დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და ამავე ქვეყნის რეესტრებისა და საინფორმაციო სისტემების ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობის ხელმძღვანელთან, ასევე საინფორმაციო სისტემების ადმინისტრაციაში, ჯანდაცვის სამინისტროს ელექტრონული სერვისების განყოფილებაში, ტალინის მერიაში და სხვა.

აღსანიშნავია შეხვედრა ელექტრონული ესტონეთის სადემონსტრაციო ცენტრში (e-Estonia), სადაც სააგენტოს წარმომადგენლებისთვის გაიმართა პრეზენტაციები ცენტრის კონცეფციისა და ელექტრონული ბინადრობის (e-Residency) პროექტის შესახებ. ესტონეთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ელექტრონული ბინადრობის (ელექტრონული მოქალაქის) სისტემა აამუშავა, რაც ციფრული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ესტონეთში ბიზნესის დისტანციურად დაარსებისა და წარმოების შესაძლებლობას იძლევა.

ერაყის სამთავრობო დელეგაციი მოანცემთა გაცვლის სააგენტოს საქმიანობას გაეცნო



ერაყის სამთავრობო დელეგაციის წევრებმა სამუშაო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შეხვედრა გამართეს, რომლის დროსაც ამავე სამინისტროს მმართველობის ქვეშ მოქმედი სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ საქმიანობის სფეროსა და მიმდინარე პროექტებს გაეცნენ.

შეხვედრაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარემ, **ირაკლი გვენეტაძემ** და ამავე სააგენტოს წარმომადგენლებმა ერაყელ სტუმრებს დეტალურად გააცნეს საქართველოში ელექტრონული მმართველობის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის, ელექტრონული სერვისებისა და ღია

მმართველობის მიმართულებით განხორციელებულ პროექტები. სტუმრებმა ასევე გაიზიარეს ის გამოცდილება, რომელიც სააგენტოს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული მიმართულებებით დაუგროვდა.

„მოხარულნი ვართ, რომ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ გამოცდილების გაზიარებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ინტერესდებიან. დღეს ჩვენს ერაყელ კოლეგებს გავაცანით სააგენტოს მუშაობის სფერო და ყველა ის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული სერვისების განვითარებასთან“, - განაცხადა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ, **ირაკლი გვენეტაძემ**.

ერაყელი სტუმრები ასევე გაეცნენ საქართველოში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარების ტენდენციებსა და ელექტრონული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ონლაინ პლატფორმის - მოქალაქის პორტალის (MY.GOV.GE) მუშაობის სპეციფიკას.

საჯარო რეესტრის სერვისებით სარგებლობა მობილური აპლიკაციით გახდა შესაძლებელი



იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დისტანციური სერვისებით სარგებლობის არხები კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. მობილური აპლიკაცია NAPR, რომელიც საჯარო რეესტრში შეიქმნა, მომხმარებლებს მობილური ტელეფონით ან პლანშეტური კომპიუტერით უძრავი ქონების რეესტრის სერვისებით სარგებლობის საშუალებას აძლევს. ამჟამად მობილური აპლიკაციით მსურველებს სასურველი უძრავი ქონების სარეგისტრაციო განაცხადის მოძებნა შეუძლიათ. ძიების განხორციელება ყველა იმ პარამეტრითაა შესაძლებელი,

რაც ვებპორტალში მოქმედებს. კერძოდ, განაცხადის ნომერი, პიროვნების სახელი და გვარი ან პირადი ნომერი, ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი, უძრავი ქონების მისამართი და საკადასტრო კოდი. მობილური აპლიკაცია მუდმივად განახლებადი იქნება და მომდევნო ვერსიებს ეტაპობრივად უძრავი ქონების რეესტრის სხვა სერვისებიც დაემატება.

„საჯარო რეესტრისთვის დისტანციური სერვისების განვითარება და მოქალაქეებისთვის ჩვენი მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მობილურ აპლიკაციებს სულ უფრო მეტი ადამიანი იყენებს. ვვარაუდობთ, რომ საჯარო რეესტრის მობილურ აპლიკაციასაც, რომელიც ახალ-ახალი სერვისებით მუდმივად შეივსება, საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ეყოლება“, - აცხადებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **პაპუნა უგრეხელიძე**.

ამჟამად აპლიკაცია უკვე ხელმისაწვდომია ანდროიდის მომხმარებლებისთვის, უახლოეს მომავალში კი მის გამოყენებას iOS-ის მომხმარებლებიც შეძლებენ. ანალოგიური აპლიკაციის შექმნა ბიზნესის რეესტრის სერვისებით სარგებლობისთვისაცაა დაგეგმილი.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ